



ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 15/54

2016 წლის 11 აგვისტო

ქალაქი ფოთი

„საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ შესაბამისად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის კომპეტენციაში შემავალ საკითხებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 14 ივნისის N9/32 განკარგულებაში ცელილების შეტანის თაობაზე

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2016 წლის 1 აგვისტოს N01/2476 წერილით, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს ეცნობა თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათაშორისი კომისიის 2016 წლის 27 ივლისის სხდომაზე მიღებული რეკომენდაციები მუნიციპალიტეტის ორგანოებისათვის 2016 წლის 8 ოქტომბერს დანიშნული საპარლამენტო არჩევნების ფარგლებში სააგიტაციო მასალის განთავსების საკითხებზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცელილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ამდენად, ცელილება უნდა შევიდეს „საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ შესაბამისად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის კომპეტენციაში შემავალ საკითხებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 14 ივნისის N9/32 განკარგულებაში და გათვალისწინებულ იქნეს თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათაშორისი კომისიის რეკომენდაციები სააგიტაციო მასალის განთავსებასთან დაკავშირებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე:

მუხლი 1.

შეტანილ იქნას ცელილება „საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ შესაბამისად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის კომპეტენციაში შემავალ საკითხებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 14 ივნისის N9/32 განკარგულებაში, კერძოდ: განკარგულებას დაემატოს მუხლი 12<sup>1</sup> შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 12<sup>1</sup>. საარჩევნო პლაკატების გასაკრავად განთავსდეს სპეციალური სტენდები დანართი 4-ით განსაზღვრულ ადგილებზე. თითოეულ საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს გააკრას არაუმეტეს 2 ცალი საარჩევნო პლაკატი ზომით არაუმეტეს სიგრძე 60 სმ, სიგანე 42 სმ (A2 ფორმატი), თუ, საარჩევნო პლაკატების გასაკრავი ფართი არასაკმარისია, საარჩევნო სუბიექტებმა პლაკატები განთავსონ თანაბარი რაოდენობის (თითოეულმა საარჩევნო სუბიექტმა- 1 ცალი). სპეციალური სტენდების გარდა პლაკატების გაკვრა დასაშვებია სამშენებლო ტერიტორიების შემოსაზღვრულ დროებით ღობეებზე“.

მუხლი 2.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის შესაბამისად, განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №3).

მუხლი 3.

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საქართველოს თავმჯდომარე



ალექსანდრე თოფურია

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში საარჩევნო პლაკატების გასაკრავად განკუთვნილი სპეციალური სტენდების განთავსების ადგილები და რაოდენობა

1. რუსთაველის რკალი - 3 ცალი;
2. დავით აღმაშენებლის ქუჩა - 4 ცალი;
3. კოსტავას ქუჩა - 1 ცალი;
4. შოთა მერგულიშვილის სანაპირო - 1 ცალი;
5. გეგიძის ქუჩა - 2 ცალი;
6. რეკვაეას ქუჩა - 1 ცალი;
7. სამეგრელოს ქუჩა - 2 ცალი;
8. რკინიგზის მოედანი - 1 ცალი;
9. ჭავჭავაძის ქუჩა - 1 ცალი;
10. აკაკის ქუჩა - 1 ცალი;
11. გურიის ქუჩა - 3 ცალი;
12. ახალი რაიონი 1 ცალი;
13. 8 მარტის ქუჩა - 1 ცალი;
14. ლარნაკას ქუჩა - 2 ცალი;
15. კოვაიას ხეივანი - 1 ცალი;
16. 9 აპრილის ხეივანი 2 ცალი;
17. ნიკოლაძის სანაპირო - 2 ცალი;
18. ვორგასლის ქუჩა - 2 ცალი;
19. ნინოშვილის ქუჩა - 1 ცალი;
20. თამარ მეფის ქუჩა - 1 ცალი;
21. ბერდიანსკის ქუჩა - 1 ცალი;
22. იუსტიციის სახლის მიდებარედ - 2 ცალი;
23. სამეგრელოს მოედანი - 1 ცალი;
24. თავდადებულის ქუჩა - 1 ცალი;
25. ჯიქიას ქუჩა - 1 ცალი;
26. არზიანის ქუჩა - 1 ცალი.

საკრებულოს თავმჯდომარე



*(Handwritten signature)*

ალექსანდრე თოფურია